სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/04

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2021

სტუ-ის დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის №01-05-04/10 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 11 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის №01-06-02/20 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების პირველ მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. დეპარტამენტი ექვემდებარება სტუ-ის ვიცე-რექტორს და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილეს“;

ბ) დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის, ვიცე-რექტორისა და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**